4 კოალიცია ცვლილებისთვის

მომავალი შენია

ახალი
გირჩი
მეტი თავისუფლება
დროა!

''კოალიცია ცვლილებისთვის'' არის ერთობა, რომელიც უბრალოდ კი არ ჩაანაცვლებს არსებულ მმართველობას, არამედ სრულად შეცვლის რეალობას.
ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უარს ეუბნება ''ქართულ ოცნებას'' და ირჩევს გზას წინ, მომავლისკენ, ირჩევს არა უბრალოდ მმართველი ძალის ჩანაცვლებას, არამედ ფუნდამენტურ და ხელშესახებ ცვლილებებს, რაც მოგვიტანს ევროპულ მომავალს, შექმნის შესაძლებლობების ეკონომიკას ყველასათვის.
ცვლილება მომავალ თაობას მისცემს საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას და არ მოუწევს სამშობლოს დატოვება.

რას მოგვიტანს ცვლილება

1. ევროკავშირის პასპორტს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის - 2030 წელს საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და მივიღებთ გარანტირებულ კეთილდღეობას, უსაფრთხოებასა და მშვიდობას;

2. ევროპული ხარისხის განათლებას, ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობას;

3. ევროპული დონის ეკონომიკას, სოციალური დაცვის პროგრამებს, შემოსავალსა და პენსიას;

4. ევროპული ტიპის მდიდარ და ძლიერ რეგიონებს, სადაც ყველა მუნიციპალიტეტი თავად განკარგავს საკუთარ მომავალს, შემოსავალს, მიწას, ტყესა და სხვა რესურსებს.

ცვლილება იწყება 26 ოქტომბერს.
მომავალი შენია!

მშვიდობა, სამართლიანობა, დემოკრატია, თავისუფლება - პრეზიდენტის ქართული ქარტია

1. **სამართალდამცავი უწყებების რეფორმა, პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების დეპოლიტიზაცია -** პოლიცია იცავს ჩვენი მოქალაქეების სიმშვიდესა და უსაფრთხოებას, არ დევნის განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს. წარსულს უნდა ჩავაბაროთ პოლიტიკური დევნის პრაქტიკა. ჩვენი ხედვით, სუს-ი, როგორც პოლიტიკური პოლიცია უნდა გაუქმდეს. მას კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და კონტრტერორისტული ცენტრი გამოეყოფა, ჩამოყალიბდება ერთ უწყებად, რომლის ხელმძღვანელსაც პრემიერის წარდგინებით პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა აირჩევს, ხოლო ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელს აირჩევს პარლამენტი კვალიფიციური უმრავლესობით. შემოვიღებთ ეროვნული პოლიციის ინსტიტუტს, რომელიც გამოეყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მის ხელმძღვანელს კი აირჩევს პარლამენტი ორმაგი ვოტუმით.
2. **სასამართლოს რეფორმა** - დამოუკიდებელი სასამართლო იცავს ჩვენი მოქალაქეების უფლებებსა და საკუთრებას, აჩენს სამართლიანობის განცდას, რაც ქმნის მშვიდ გარემოსა და ეკონომიკის სწრაფი განვითარების წინაპირობას. ამისთვის კი საჭიროა მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმის დანერგვა და პირველ ეტაპზე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაფართოება (სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებს პატიმრობას).
3. **საარჩევნო სისტემის რეფორმა** - მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, თავისუფალ გარემოში, ზეწოლის გარეშე გააკეთონ საკუთარი პოლიტიკური არჩევანი. გაჩნდება პარტიებს შორის ჯანსაღი კონკურენცია და გაიზრდება ანგარიშვალდებულება მოქალაქეების მიმართ.
4. ცვლილების შემდეგ, გაიხსნება **ევროკავშირთან მოლაპარაკებები და დაჩქარებული წესით მოხდება ევროკავშირში გაწევრიანება** - რაც ჩვენი ქვეყნის მშვიდობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გარანტიაა.

ბედნიერი და წარმატებული მომავალი შვილებს - თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება

1. 2028 წლისთვის განათლების სფეროს დაფინანსება **სამჯერ გაიზრდება და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს მიაღწევს**

- **თითოეულ ბავშვს ექნება საკუთარი საგანმანათლებლო დეპოზიტი - "ცოდნის ყულაბა".** საბავშვო ბაღის ასაკიდანვე მასში განთავსდება წლიური თანხა, რომელიც განათლების დაფინანსებაზეა გათვლილი. თანხის განკარგვა მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის იქნება შესაძლებელი. მშობელს ექნება საშუალება, შვილის დეპოზიტი მიმართოს საჯარო თუ კერძო სექტორში. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ბაღი ან სკოლა უფრო ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე წლიური დეპოზიტი, მშობელს შეუძლია დააგროვოს ნაშთი განათლების შემდგომი საფეხურებისთვის, ან გამოიყენოს სპორტულ-სახელოვნებო მიმართულებებზე.

- დაფინანსების რეფორმის შედეგად, თითოეული ბავშვის სკოლამდელი განათლება წლიური **2500**, ხოლო სასკოლო - **5000 ლარით** დაფინანსდება.

შედეგად:

- სკოლაში კვება უზრუნველყოფილი იქნება;
- გაორმაგდება მასწავლებლებისა და აღმზრდელების ხელფასი;
- მასწავლებლის პროფესია მიმზიდველი და დაფასებული გახდება;
- დაფუძნდება ახალი ბაგა-ბაღები და სკოლები;
- განათლების სექტორში კონკურენცია გაიზრდება;
- ახალი კერძო ბაგა-ბაღებისა და სკოლების დაარსების შემდეგ გაჩნდება დამატებით სამუშაო ადგილები;
- ბაღები და სკოლები თანამედროვე **ევროპული დონის ლაბორატორიებითა და ინფრასტრუქტურით** უზრუნველყოფილი იქნება ;

2. **დაფინანსებული უმაღლესი განათლება - "ცოდნის ყულაბა". საუნივერსიტეტო საფეხურზეც მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებს მოემსახურება.** იმ შემთხვევაში, თუ გადასახადი კონკრეტულ უნივერსიტეტში უფრო დაბალია, ვიდრე წლიური დეპოზიტი, სტუდენტს შეეძლება თანხა შეინახოს შემდგომი საფეხურისთვის, თუ სხვა საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
3. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ან რეგიონში მცხოვრები არცერთი **სტუდენტი განათლებისა და სტუდენტური საცხოვრებლის გარეშე არ დარჩება.**
4. **2028 წლიდან საუნივერსიტეტო განათლება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სრულად დაფინანსდება.**
5. სახელმწიფო უნივერსიტეტებს, ავტორიზაციის პირობებში, **სტუდენტთა საცხოვრებლების აშენების ვალდებულება** ექნებათ და მიეცემათ შესაძლებლობა, სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება გამოიყენონ (რომელსაც არ აქვს საგანმანათლებლო ფუნქცია).
6. მსოფლიოს **50 საუკეთესო რეიტინგულ უნივერსიტეტში ჩარიცხული** სტუდენტების სწავლა სრულად დაფინანსდება.
7. **მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება - დასაქმების გარანტია**

    - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაქსიმალური განკერძოება მოხდება;
    - დაფინანსდება როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიულ სასწავლებელში სწავლა;

ბაზარზე აუცილებელი და მაღალანაზღაურებადი პროფესიებისა და კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის უზრუნველყოფა - მსხვილ პროექტებში უმეტესწილად **საქართველოს მოქალაქეების დასაქმება;**

8. **პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი და დეცენტრალიზებული განათლების სისტემა.**

   - ყველა მოსწავლეს ექნება თანაბარი წვდომა **ხარისხიან განათლებაზე, სასკოლო კვებასა** და სხვა საგანმანათლებლო სერვისებზე;
   - ინფრასტრუქტურული საკითხები გადაეცემა მუნიციპალიტეტებს - **პრობლემები გადაიჭრება ადგილზე, სწრაფად და ეფექტიანად;**
   - გამოცდაზე კომპეტენციის დადასტურების შემდეგ **სკოლის დირექტორის შერჩევისა და არჩევის საკითხი სრულად დელეგირდება სკოლაზე;**
   - საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეფორმირება - ის რეალურად გახდება **რაიონის/რეგიონის მუნიციპალური საგანმანათლებლო რგოლი** საგანმანათლებლო ცენტრი სკოლებისა და ბაღების მთავარი მხარდამჭერი;
   - **მასწავლებლის პროფესიული განვითარება დაეფუძნება მის ინდივიდუალურ საჭიროებებს.**
   - კერძო სკოლებში შემცირდება სახელმწიფოს როლი და ბიუროკრატიული რეგულაციები.

მდიდარი სახელმწიფო, მაღალი შემოსავალი ოჯახებს - შესაძლებლობების ეკონომიკა

1. **რეგიონალური მნიშვნელობის პროექტები**
   - **ევროპა - აზიის დამაკავშირებელი დერეფანი** - ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის პოტენციალის რეალიზებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის აშენებითა და საქართველოს სარკინიგზო სიმძლავრეების გაზრდით საქართველოს დავუბრუნებთ მის ისტორიულ როლს - საქართველო გახდება ერთადერთი უსაფრთხო და არასანქცირებული დერეფანი ევროპასა და აზიას შორის.
   - **საქართველო რეგიონის ფინანსური და ეკონომიკური ცენტრი** - ჰაბ ეკონომიკა არის **საქართველოსთვის ძალიან სწრაფი გამდიდრების საშუალება**, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა.
   - ტრანსკასპიური და ტრანს-შავი ზღვების **ენერგეტიკული დერეფნების განვითარება.**
   - **რეგიონში ყველაზე იაფი და ჩქარი ინტერნეტი.**

2. **გადასახადების შემცირება და თავისუფალი გარემო**
   - საშემოსავლო გადასახადის შემცირება 15%-მდე, მოგების გადასახადის შემცირება 10%-მდე;
   - 400 ათას ლარამდე შემოსავალი დღგ-თი არ დაიბეგრება;
   - საზღვარზე შემოტანისას, 700 ლარამდე ღირებულების საქონელი არ დაიბეგრება.
   - **ფინანსური დანაშაულების დეკრიმინალიზაცია** - ფინანსური შეცდომების ან დარღვევებისათვის მკაცრი სადამსჯელო მექანიზმების გამორიცხვა. ადამიანებს უნდა შეეძლოთ, ზეწოლის გარეშე, თავისუფალ გარემოში აწარმოონ ბიზნესი და სასჯელის შიშის გარეშე შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა მიეცეთ;
   - **კერძო საკუთრების დაცვის** განსაკუთრებული გარანტიები.
3. **თავისუფალი ვაჭრობა აშშ-სთან - არჩევნების შემდეგ აქტიურად დავიწყებთ** მუშაობას აშშ-სთან უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რაც გაწერილია კონგრესის „მეგობარი აქტით". შედეგად, საქართველოს მოქალაქეებს ექნებათ საშუალება ქართული პროდუქცია ბარიერების გარეშე გაიტანონ 2 მილიარდიანი მოსახლეობის, ყველაზე მდიდარ ბაზრებზე. ჩვენ ვიქნებით მსოფლიოში მე-5 სახელმწიფო, რომელსაც ექნება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აშშ -სთან, ევროკავშირთან და ჩინეთთან.
   რეფორმა საბანკო სფეროში - ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და პოლიტიკური ზეგავლენისგან დაცვა. ბაზრის გახსნა ახალი მოთამაშეებისთვის.
4. საბანკო სექტორში გაიზრდება კონკურენცია, რაც გამოიწვევს **კრედიტის პროცენტის მკვეთრად შემცირებას.**

შედეგად:

- 4 წელიწადში ეკონომიკა გაორმაგდება - შესაბამისად, ოჯახების შემოსავალი მინიმუმ ორჯერ გაიზრდება;
- 2028 წლისთვის უკიდურესი სიღარიბე 0%-მდე, ხოლო აბსოლუტური სიღარიბის დონე დაახლოებით 80%-ით შემცირდება;
- 4 წელიწადში 12 მილიარდამდე გაიზრდება სოციალური პროგრამების დაფინანსება, რაც მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ დაფინანსება მოწყვლადი ჯგუფებისათვის;
- ყოველწლიურად მინიმუმ 4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია და 60 ათასი მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი;
- საბანკო პროცენტის მკვეთრი შემცირება.

წარმატების და ბედნიერების შესაძლებლობები ყველგან - რეგიონების გაძლიერება

1. **რეალური თვითმმართველობა**
   - ადგილობრივი საკითხები უნდა გადაწყდეს ადგილზე. მოქალაქეებმა უკეთ იციან ადგილობრივი საჭიროებები და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვები და არასაჭირო ჩარევები ხელს უშლის ადგილზე პრობლემების მოგვარებას.
   - **ფინანსური რესურსები თვითმმართველობებს** - საგადასახადო რეფორმის შედეგად რეგიონის შემოსავალი რეგიონს უნდა მოხმარდეს და ამ რესურსებს ცენტრალურ ხელისუფლებაში მყოფი ჩინოვნიკი არ უნდა განკარგავდეს.
2. **ინდუსტრიული, მაღალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობა**
   - **აგროჰაბები რეგიონების მიხედვით** - მზარდი წარმოების პირობებში ბიზნესის და სასაწყობე - სამაცივრე ინფრასტრუქტურის მშენებლობის წახალისება.
   - **მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა** - მიწა უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეების საკუთრებაში. სოფლებსა და ადგილობრივ თემებს უნდა გადაეცეთ საძოვრები.
   - ევროკავშირისა და საერთაშორისო ფონდების მხარდაჭერით დაინერგება **თანამედროვე ტექნოლოგიები**. შედეგად, შესაძლებელი გახდება მეტი მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება.
   - **სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურაში ინვესტიცია** - გზებისა და სარწყავი არხების მოწყობა და სწრაფი ინტერნეტის გაყვანა.
   - **საერთაშორისო კომპანიების დაინტერესება სოფლის მეურნეობაში ინვესტირების კუთხით** - ისეთი პირობების შექმნა, რომ მსხვილ კომპანიებს გაუჩნდეს ინტერესი, ინვესტიცია ჩადონ სოფლის მეურნეობაში, შეიძინონ ქართველი ფერმერის პროდუქტი, უზრუნველყონ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, შემოიტანონ ახალი ტექნოლოგიები.
   - ავტორიტეტული კომპანიის დაქირავება ქართული პროდუქციის **საერთაშორისო ბაზრებზე გასატანად** - ქართული პროდუქციის აქტიური რეკლამირებასა და მარკეტინგში სახელმწიფოს მხარდაჭერა - 2 მილიარდიან ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობა (ევროკავშირი, ჩინეთი და აშშ).
   - გაიხსნება თავისუფალი ვაჭრობა აშშ-სთან, როგორც ეს აღნიშნულია „მეგობარ აქტში“.
3. **ინფრასტრუქტურა**
   - ჩქაროსნული მატარებელი - მოქალაქეს უნდა შეეძლოს მაგალითად ლაგოდეხიდან ბათუმში 4 საათში ჩასვლა, ხოლო გორიდან თბილისში მუშაობის მიზნით, ყოველდღიური მგზავრობა უნდა გახდეს მოსახერხებელი და მარტივი.
   - ჩქაროსნული გზების დასრულება;
   - წყალმომარაგებისა და კანალიზაციის პროექტების სწრაფად დასრულება.

შედეგად:

- მოქალაქეების გააქტიურება ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში;
- რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების სწრაფი ეკონომიკური განვითარება;
- რეგიონებში მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა - „რეგიონები იცლება“ პრობლემის გადაჭრა.

ხანგრძლივი სიცოცხლე - მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

1. **პირველადი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერება**
   - პირველადი ჯანდაცვის **ბიუჯეტის გაორმაგება**, შემდგომი ეტაპობრივი ზრდა და ამბულატორიების სტანდარტებთან (მათ შორის შშმ პირებისთვის ადაპტირებული) შესაბამისობაში მოყვანა, ასევე პირველადი ჯანდაცვის რგოლის სამედიცინო პერსონალის შრომითი პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესება, რათა საბოლოოდ მივაღწიოთ ევროპულ სტანდარტს.
   - პრევენციულ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა - მოზრდილთათვის საბაზისო მედიკამენტების ჩამონათვალის გაზრდა, პედიატრიული ასაკის პაციენტებისთვის, 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, სოც. დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის პედიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტების დაფინანსება.
   - **ეროვნული სკრინინგ პროგრამის გაფართოება**, მართვის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც განაპირობებს სკრინინგ პროგრამის ეფექტურობის გაზრდას, უზრუნველყოფს კიბოს ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტირებას, შეამცირებს სიკვდილიანობის მაჩვენებელს და მკურნალობისთვის განკუთვნილ ფინანსურ დანახარჯებს.
2. **ონკოლოგიური დაავადებების მართვის გაუმჯობესება**
   - **დაფინანსების ეტაპობრივი ზრდა** - დაფინანსების გაორმაგება, საჭიროების შემთხვევაში მკურნალობის ტაქტიკის განმსაზღვრელი, ძვირადღირებული კვლევებისა და პროცედურების დაფინანსება;
   - თანამედროვე ონკო-პრეპარატების სპექტრის ეტაპობრივი გაფართოება და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
   - დაავადების **მონიტორინგის დაფინანსება** (ონკოლოგიის კონსულტაცია, ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები);
   - ეტაპობრივად - ტკივილის მართვის, პალიატიური და შინ **მოვლის სერვისების განვითარება.** ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მსგავსი საჭიროების მქონე სხვა ჯგუფის პაციენტებისთვისაც.
3. **სამედიცინო განათლების რეფორმა**
   - **ექთნების განათლება** - როგორც საბაკალავრო, ასევე პროფესიული პროგრამების სრული დაფინანსება და დარგის პოპულარიზაცია სახელმწიფოს მხრიდან;
   - სარეზიდენტო პროგრამებისთვის გადასახადის გაუქმება, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში (ოჯახის ექიმი) ანაზღაურებადი რეზიდენტურა.
4. **კერძო დაზღვევის სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლა** - პირველ ეტაპზე საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტებზე კერძო სადაზღვევო სისტემების დაშენების უფლება.